

732 დადგენილება

“ტექნიკური რეკლამენტის მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“



თბილისი

2022

მისაწვდომობის მოთხოვნებს არეგულირებს “ტექნიკური რეგლამენტის

მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის

4 დეკემბრის #732 დადგენილება .

102.1 ზოგადი. ამ ტექნიკური რეგლამენტის 3-10 თავებსა და 1002, 1003 და 1006 ქვეთავებში წარმოდგენილი ტექნიკური კრიტერიუმები ადგილებს, საშუალებებს, შენობებსა და ელემენტებს იმ ადამიანებისთვის მისაწვდომსა და გამოყენებადს ხდის, რომელთაც ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის გამო არ შეუძლიათ გადაადგილება, სიარულისას დამოკიდებულნი არიან დამხმარე საშუალებებზე, არიან უსინათლონი და მცირემხედველნი, ყრუ და სმენადაქვეითებულნი, არ შეუძლიათ კოორდინაცია, არ შეუძლიათ რამესთან მიღწევა და მანიპულაცია/ხელის მტევნისა და თითების მოძრაობა, ნაკლებ ამტანები არიან, უჭირთ გრძნობიერი ინფორმაციის გადმოცემა და მასზე რეაგირება და ახასიათებთ ფიზიკური ზომისუკიდურესობები. მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შესაძლებლობა მისცეს, დამოუკიდებლად მიუახლოვდეს, შევიდეს და გამოიყენოს ადგილი, საშუალება, შენობა ან ელემენტი.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დამუშავებულია სოციალური ინკლუზიის ცენტრის ადმინისტრაციული შენობის პროექტი.

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიბში (საკადასტრო კოდით 30.07.31.686) საპროექტო მიწი ნაკვეთის ფართობია 1489 კვ/მ რომელზეც განთავსებული იქნება ერთსართულიანი შენობა.

შენობის საერთო ფართობი 233 კვადრატული მეტრი. შენობას გააჩნია 3 ტუალეტი აქედან 2 ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. შენობაში შესვლა შესაძლებელია 3 საფეხურიანი კიბით და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გათვლილი ჰანდუსით ასევე უკანა მხარეს არსებული ვერანდიდან კიბის საფეხურების საშუალებით. ობიექტი წარმოადგენს კარგასული ტიპის შენობა ნაგებობას, რომელიც შეიკვრება რკინა-ბეტონით და მონოლითით. კედლები და ტიხრები აშენდება სამშენებლო ბლოკით, შენობის სახურავის გარე პერიმეტრი აწეულია 80 სმ პარაპეტით, სახურავი ქანობიანია (25%) და გადახურულია მეტალო-კრამიტით. შენობის გარე კედლებად გათვალისწინებულია 30 სანტიმეტრის სისქის ბლოკი. შენობის დასათბუნებლად სახურავზე მოწყობილი იქნება პემზის ფენა ხოლო კედლები შეილესება კვიმაცემენტის ხსნარით. შენობის ასაშენლად და სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად გამოყენებული საშენი მასალის შემადგენლობა გათვლილი იქნება ბავშვებისათვის და ასევე იქნება მაღალი ხარისხის. უზო კეთილმოწყობილი იქნება ბავშვთა გასართობი კუთხით და სასეირნო ბილიკებით. სარეკრეაციო სივრცით და მოსასვენებელი ზონებით.

დასკვნა

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოწოდებული მასალების საფუძველზე, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს: ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმში (საკადასტრო კოდით 30.07.31.686) საპროექტო მიწი ნაკვეთის ფართობია 1489 კვ/მ რომელზეც განთავსებული იქნება ერთსართულიანი შენობა.. შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის ექსპერტიზის შედეგად შეიძლება აღინიშნოს, წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია საქართველოში მოქმედი “ტექნიკური რეგლამენტის მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის #732 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება.

ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ -ის შესაბამისობის ანალიზი მოიცავს შემდეგი პარამეტრების შეფასებას:

მისაწვდომი სვლაგეზი :

- *მისაწვდომი სვლა გეზის სავალი ზედაპირები
- *თითოეული კარები და კართან მანევრირებისათვის საჭირო სივრცეები
- *ჰანდუსები
- ადგილი საზღვრების ზოგადი ელემენტები :
- *მისაწვდომი გზა-კიბეები
- *ფანჯრები
- წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები :
- *ტუალეტების ოთახები
- *უნიტაზები
- *ხელსაბანები

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

- *ნიშნები
- მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები:
- *მისაწვდომი ერთეულები

მისაწვდომი სვლაგეზი :

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1.მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

-იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.

-საზოგადოებრივი სივრცეიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.

-იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაჰმყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

-მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

-სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს (სასაწყობო, საქმიან და სავაჭრო ფართში, თაროებს შორის), თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აჰმყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

-სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აჰმყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

-საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2.კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

-მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

-მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

-გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.

-კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

-იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შეუღლად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვრილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აჰმყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

ადგილის და შენობის ელემენტები:

1.საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომიკიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

-კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამღლების სიმაღლე უტოლდება 160 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 300 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.

-კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.

-საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტ

-კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება

საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდეამდე.

-კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელოურები.

-ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

-სართულის ამოსაცნობად, მიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები:

1.საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

-ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

-ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2.ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

-უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

-უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აშკარად იწვევს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

-უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

-უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

-უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

3.ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

-ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.

-ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

1. საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან და 0.00 ნიშნულზე გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზა-კიბეების საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებულ ყველა მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებში. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

- სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.

- სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კამჭაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასოებერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

-შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.

-სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

-ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

-სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

•ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

-ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.

-ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.

-ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.

-ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

•ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

-მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.

-მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.

-მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.


დასკვნა

მისაწვდომობის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

თარიღი: - 04.02.2022 წ

ხელმოწერა: -



ბეკა მეზალიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, მაზნიაშვილის ქ. 37/36; | +995 577171012|beqa.meb@gmail.com

- დაბადების თარიღი: 15.02.1986
- მოქალაქეობა: საქართველო
- ოჯახური მდგომარეობა: დასაოჯახებელი

განათლება

- **2003-2007** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ბაკალავრიატი)
- **2010-2012** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მაგისტრატურა)

სამუშაო გამოცდილება

2018-2021

ორგანიზაციის დასახელება: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მ.გ.ფ.)
პოზიცია: ხარისხის კონტროლის სპეციალისტი (ინჟინერი)
სტაჟი: 2 წელი

2017-2018

ორგანიზაციის დასახელება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის საინჟინრო განყოფილება
პოზიცია: საინჟინრო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
სტაჟი: 1 წელი

2015-2018

ორგანიზაციის დასახელება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო,
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტი, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის სამმართველო,
პოზიცია: ინჟინერ-მთავარი სპეციალისტი (მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი)
სტაჟი: 18 თვე (1 წელი და 6 თვე)

ორგანიზაციის დასახელება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
პოზიცია: მთავარი სპეციალისტი (ინჟინერი)
სტაჟი: 21 თვე (1 წელი და 9 თვე)

2012-2015

ორგანიზაციის დასახელება: ომეგა ჯგუფი (შპს "ომეგა-2")
პოზიცია: პროექტის მენეჯერი
სტაჟი: 12 თვე (1 წელი და 0 თვე)

2009-2014

ორგანიზაციის დასახელება: ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური
პოზიცია: - სპეციალისტი
სტაჟი: 64 თვე (5 წელი და 4 თვე)

2008

ორგანიზაციის დასახელება: თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური
პოზიცია: ქალაქგეგმარების მარჯვენა სანაპიროს განყოფილების - წამყვანი სპეციალისტი. სტაჟი: 7 თვე

კომპიუტერული უნარ-ჩვევები

- Autodesk 3ds Max 2018
- Autodesk Autocad 2018
- Graphisoft Archicad 21
- Google SketchUp 2017

- Adobe Photoshop CC 2017
- Adobe Illustrator CC 2017
- Adobe InDesign CC 2017
- Adobe Lightroom 6.0
- CorelDraw 2017
- Artlantis 6.0
- Vray 3.0
- MS Office
- Windows
- Corona Renderer
- Twinmotion 2018
- Lumion 6.0

ენები

- ქართული (მშობლიური)
- ინგლისური (კარგად)
- რუსული (საშუალოდ)



GEORGIA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

MASTER'S
DIPLOMA



MD№ 000643

By the decision N 39 June 28, / 2012 /

of the faculty of

Civil Engineering

Mr. Beqa Mebaghishvili

was awarded the Degree of Master of

Engineering

Construction

in

საბეჭდო რეგისტრაცია № 00630
Registration

თბილისი
Tbilisi

31
რიცხვი/day

1
თვე/month

2013
წელი/year

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის
დიპლომი



MD№ 000643

სამშენებლო

ფაკულტეტის 2012 წლის 28. 6 № 39

გადაწყვეტილებით ბეკა მებაღიშვილს

მიენიჭა ინჟინერის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

მშენებლობაში

დეკანი

Dean

რექტორი

Rector

/ ზურაბ ტყეშელაშვილი

/ Zurab Tqeshelashvili

/ არჩილ ფრანგიშვილი

/ Archil Frangishvili



GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

BACHELOR'S
DIPLOMA



BA № 001342

This is to certify that by the decision February 18, 2008.

of the Architecture, Urban Planning and Design faculty

of the Technical University of Georgia

Mr. Beka Mebagishvili

born on February 15, 1986.

was awarded an academic Degree of Bachelor with Major in

Architecture

seal



Dean of the faculty

Rektor

Tbilisi May 5, 2008. Registration No 01145

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბაკალავრის
დიპლომი



BA № 001342

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2008 წლის 18. 2 გადაწყვეტილებით,

ბეკა მებაღიშვილს

დაბადებულს 1986 წლის 15 თებერვალს

მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ბ. ა.



ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 05/05/2008 სარეგისტრაციო # 01145



ლია
საზოგადოების
ფონდი



















March 29-30, 2021

Accessible and Usable Buildings and Facilities - National Standards

Certificate awarded to

BEQA MEBAGHISHVILI

Keti Khutsishvili
Executive Director

მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების გრაფიკული აღნიშვნების ექსპლიკაცია	
პირობოთი აღნიშვნა	მნიშვნელობა
	მანძილი, რომელიც გვინახვანებს სპერთაშორისო ერთეულებს
	მანძილი პატარა ზომებისთვის
	მანძილი, რომელიც გვინახვანებს ღიაპაზონს მინიმალურად მაქსიმალურამდე
მინ. (.nim)	მინიმალური
მაქს. (.xam)	მაქსიმალური
	მეტი
	ტოლი ან მეტი
	ნაკლები
	ნაკლები ან ტოლი
	იატაკის თავისუფალი სივრცის ან მანევრირებისათვის გამოყოფილი თავისუფალი სივრცის საზღვარი
	შუახაზი
	სავალი ან მისაწვდომი მიმართულება
	კედელი, იატაკი, ჭერი ან სხვა ელემენტი გაჭრილი ჭრილში ან გეგმაზე
	გამოკვეთილი ელემენტი ჭრილში ან გეგმაზე
	ელემენტის, სამართავის ან მოწყობილობის მდებარეობის ზონა
	მისაწვდომი სვლაგეზი შენობის შიგნით
	მისაწვდომი სვლაგეზი შენობის გარეთ
	იატაკის თავისუფალი სივრცე - არსებული შენობები
	წრიული მოსატრიალებელი სივრცე - არსებული შენობები
	T-ის ფორმის მოსატრიალებელი სივრცეები - არსებული შენობები
შენიშვნა: იმ საღაც მოსატრიალებელი სივრცე მოიცავს მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის განსაზღვრულ თავისუფალ სივრცეს მოწყობილობების ქვემოთ, მათი გადაფარვა დასაშვებია წარმოდგენილი სქემის მიხედვით.	
შენიშვნა: იმ საღაც მოსატრიალებელი სივრცე მოიცავს მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის განსაზღვრულ თავისუფალ სივრცეს მოწყობილობების ქვემოთ, მათი გადაფარვა დასაშვებია წარმოდგენილი სქემის მიხედვით.	
შენიშვნა: ზომები მოცემულია მილიმეტრებში	

თავისუფალი სივრცე კართან მანევრირებისთვის		საღაროს ღეჭალი	
<p>თავისუფალი სივრცე კართან მანევრირებისთვის - ანაგზიანი კარი - წინდან მისაწვდომი გამოუვლით გაღება</p>	<p>თავისუფალი სივრცე კართან მანევრირებისთვის - ანაგზიანი კარი - წინდან მისაწვდომი გამოუვლით გაღება - არსებული შენობები</p>	<p>თავისუფალი სივრცე კართან მანევრირებისთვის - მოსაღებ და დასაღები კარი - წინდან მისაწვდომი - არსებული შენობები</p>	<p>საღაროს დახლების სიმაღლე</p>


ღ-2 - მისაწვდომი წყლის ფარევის ღეჭალი				
<p>ერთი მოსარგებლათვის განკუთვნილი წყლის დახაღები ფარევის წყლის სიმაღლე და მდებარეობა</p>	<p>ერთი მოსარგებლათვის განკუთვნილი წყლის დახაღები წყლის მდებარეობა</p>	<p>ფეხის ფალანგის სივრცე - ამაღლება</p>	<p>მუხლის სიმაღლემდე სივრცე - ამაღლება</p>	<p>ფეხის ფალანგის სივრცე - გეგმა</p>

ღ-3 - ნიშნების ღეჭალი			
<p>ნიშნის მდებარეობა - სიმაღლის მდებარეობა - კიბორჩხის მდებარეობა სიმაღლის ზონებში</p>	<p>ნიშნის მდებარეობა - სიმაღლის მდებარეობა - კიბორჩხის მდებარეობა სიმაღლის ზონებში</p>	<p>ნიშნის მდებარეობა - სიმაღლის მდებარეობა - კიბორჩხის მდებარეობა სიმაღლის ზონებში</p>	<p>კართან არსებული ნიშნის მდებარეობა</p>


ღ-4 - ტუალეტებში განსაზღვრული მოწყობილობების ღეჭალი					
<p>უბრტყელ და მომართვადი ხელმისაღებო აქტი გვერდითი კედლები</p>	<p>ხელმისაღებო აქტი უბრტყელ და მომართვადი კედლები</p>	<p>უბრტყელ დახაღების სიმაღლე - ზომისუბრტყელი</p>	<p>ხელმისაღებო აქტის ზონა</p>	<p>ღიანების ზონის მდებარეობა გამოყვანილი ღიანების ხელმისაღებო აქტის ქვემოთ</p>	<p>ღიანების ზონის მდებარეობა გამოყვანილი ღიანების ხელმისაღებო აქტის ზემოთ</p>
<p>ხელსაწიებისა და ნიშნების სიმაღლე</p>	<p>ფეხის ფალანგის სივრცე - ამაღლება</p>	<p>მუხლის სიმაღლემდე სივრცე - ამაღლება</p>	<p>ფეხის ფალანგის სივრცე - გეგმა</p>	<p>მუხლის სიმაღლემდე სივრცე - გეგმა</p>	

შენიშვნა: ზომები მოცემულია მილიმეტრებში


ნიშანი განთავსდება
გზა-ჰიბის საზღვრებში ჰარის მომიჯნავედ




ნიშანი განთავსდება
გზა-ჰიბის საზღვრებში ჰარის მომიჯნავედ




ნიშანი განთავსდება
ბარა მისაწვდომ ავტოსადგომთან




ნიშანი განთავსდება
შიგა მისაწვდომ ავტოსადგომთან







გასასვლელის განათებული ნიშანი




განათებული ნიშანი
თავშესაფრის ფართობთან მიმავალ ჯართან




ნიშანი ამოზნაპული სიგოლოვით
და ბრეილით გზა-ნიშნის შესასვლელთან
და გარეთ გამავალ ყველა ჯართან




საკროეჭო შენობაში გამოყენებული თავისუფალი სივრცეები კართან მანევრირებისთვის მ1:50




თავისუფალი სივრცე კართან
მანევრირებისთვის - ანჟამიანი
კარი
წინიდან მისაწვდომი - გამონავით
ბაღება ბაღება




თავისუფალი სივრცე კართან
მანევრირებისთვის - ანჟამიანი კარი
ანჟამის მხრიდან მისაწვდომი -
გამონავით




თავისუფალი სივრცე კართან
მანევრირებისთვის - ანჟამიანი კარი
კარი წინიდან მისაწვდომი - მიწოლით
მისაწვდომი - ბაღება




თავისუფალი სივრცე კართან
მანევრირებისთვის - ანჟამიანი
საკეცის მხრიდან
მიწოლით ბაღება
120 მიწ. თუ მოწყობილია მიმხურავი



თავისუფალი სივრცე კართან
მანევრირებისთვის - ანჟამიანი კარი
საკეცის მხრიდან მისაწვდომი -
მიწოლით
გამონავით ბაღება




თავისუფალი სივრცე კართან
მანევრირებისთვის - ანჟამიანი კარი
ანჟამის მხრიდან მისაწვდომი -
ბაღება
120 მიწ. თუ მოწყობილია მიმხურავი




თავისუფალი სივრცე კართან
მანევრირებისთვის-წიშაში
მოწყობილი კარი და ჭიშკარი-
გამონავით ბაღება

მოსატრიალებელი სივრცეები ვარიანტი 4




შენობაში გამოყენებული ბლოკები


ვარიანტი 1




ვარიანტი 2




ვარიანტი 3




ქ-1 კარი ზღურბლის გარეშე მიმხურავით



ქ-2 კარი ზღურბლით მიმხურავის გარეშე



ქ-3 კარი ზღურბლის და მიმხურავის გარეშე



შენიშვნები:

კარის ზედაპირი უნდა იყოს გლუვი იატაკიდან მინიმუმ 250 მმ-ის საზღვრებში.

სახელები, ჩამოსაწევი სახელები, საკეტები, რაზები და მისაწვდომი კარის სხვა სამართავები ისეთი ფორმის იქნება, რომ ადვილად შეიძლებოდეს ერთი ხელით მოჭიდება და მის ასამუშავებლად საჭირო არ იქნება მაგრად მოჭიდება, წვალუბა ან მაჯის ტრიალი.

დახურული კარის კავეულის გასაღები ნაწილები და გაღებისათვის განუთვნილი ძალა შესაბამისობაში იქნება

შემდეგთან:

1. წინიდან მისაწვდომობისას, გამოწვევით ან მიწოლით გაღებადი, არაუმეტეს 66.7 ნიუტონი.
2. ბრუნვითი მოძრაობით გასაღები, არაუმეტეს 315 ნიუტონი სმ.

გასასვლელის კომპონენტებს (გზა-კიბე და ვესტიბიული) ემსახურება მიმხურავით აღჭურვილი კარები.

კარის მიმხურავები ისე მოწყობა, რომ 90 გრადუსით, ღია მდგომარეობიდან 12 გრადუსით გაღებულ მდგომარეობამდე კარის მისახურად საჭირო დრო არაუმცირეს 5 წამი იქნება.

კარის ზამბარიანი ანჯამები ისე მოწყობა, რომ 70 გრადუსით ღია მდგომარეობიდან დახურულ მდგომარეობამდე კარი არაუმცირეს 1.5 წამში გადავა.

ძალა მისაწვდომიდან განსხვავებული კარის მიწოლით ან გამოწვევით გაღებისათვის საჭირო

იქნება შემდეგთან:

1. შენობაში განთავსებული ანჯამიანი კარი: არაუმეტეს 22.2 ნიუტონი.


კარების ცეცხლმედეგობა მითითებულია ხანძარსაწინააღმდეგო გეგმებზე.

კარების გაღების მიმართულება მითითებულია გეგმებზე.


კერის ზღურბლი მითითებულია გეგმებზე

არცერთი კარის სუფთა სიმაღლე არ იქნება 2,05 მეტრზე

ბორღიურის კანდუსი მ.1:25







ამოცნობადი გამაფრთხილებელის დეტალიზაცია



შენიშვნები:

- პანდუსების დაბაქნების ზედაპირი იქნება მდგრადი, მყარი და არასრიალა.
- Σ პანდუსების სახელოები არ იტრიალებს მათი ბუდეების საზღვრებში.
- Σ სახელოები და ნებისმიერი კედელი ან მათ მომიჯნავე მდებარე სხვა ზედაპირი არ შეიცავს ბასრ ან უხეშ ელემენტებს.
- Σ შენობის გარეთ მდებარე პანდუსები ისე დაგეგმარდება, რომ სავალ ზედაპირზე წყალი არ დაგროვდება.
- Σ პანდუსის დაბაქნების განივი კვეთის დახრა არ აღემატება 1/48-ს.
- ამოცნობადი გამაფრთხილებლების ზედაპირები ჰიზოლორად უნდა განსხვავდებოდეს მომიჯნავე ზედაპირებისგან და უნდა იყოს ღია ფერზე მუქი ან მუქ ფერზე ღია.
- Σ გამაფრთხილებლებს უნდა ჰქონდეს თავწაკვეთილი გუმბათის ფორმა და უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- Σ თავწაკვეთილი გუმბათები კვადრატული ბადის სახით უნდა იყოს დალაგებული.
- Σ თავწაკვეთილი გუმბათების ფუძის დიამეტრი უნდა იყოს, არაუმცირეს 23 მმ და, არაუმეტეს, 36 მმ, ხოლო წვეროს დიამეტრი ფუძის დიამეტრის, არაუმცირეს 50% და, არაუმეტეს, 65%.
- Σ თავწაკვეთილი გუმბათების სიმაღლე უნდა იყოს 5,0 მმ.
- Σ თავწაკვეთილი გუმბათების ცენტრიდან ცენტრამდე დამორება უნდა იყოს, არაუმცირეს, 40 მმ და, არაუმეტეს, 60 მმ, ხოლო ფუძიდან ფუძემდე დამორება, არაუმცირეს, 16,5 მმ დაფაჩე ყელაზე ახლოს მდებარე გუმბათებს შორის



შენიშვნა:

იტაკის ზედაპირები მოეწყობა ისე, რომ იქნება მდგრადი, მყარი და არასრიალა 302 ქვეთავის შესაბამისად

განათების სამართავები, ელექტრო გამანაწილებლები, ელექტრო ჩამრთველები და დენსართები ტემპერატურის მარეგულირებლები, მოწყობილობების სამართავები, წყალსადენი სისტემის მოწყობილობების მარეგულირებლები და დამცავი და ორმხრივი საკომუნიკაციო სისტემების სამართავები "ა" ტიპის ერთეულში მოეწყობა სტანდარტის 309 ე ქვეთავის შესაბამისად.

უსინათლს ჩამრთველები, ელექტრო ჩამრთველები, დენსართები, ტემპერატურის მარეგულირებლები, ელექტრო გამანაწილებლები და უსაფრთხოების ან შიდა საკომუნიკაციო სისტემების სამართავები "ბ" ტიპის ერთეულებში მოეწყობა სტანდარტის 309 ქვეთავების მიხედვით.

იატაკის ზედაპირზე დონის შეცვა უნდა მოხდეს 303-ე ქვეთავის შესაბამისად.

როდესაც ელემენტის ქვემოთ არსებული სივრცე მიჩნეულია ელემენტთან მდებარე იატაკის თავისუფალი სივრცის, ელემენტთან არსებული თავისუფალი სივრცის ან მოსატრიალებელი სივრცის ნაწილად, სივრცე უნდა შეესაბამებოდეს 306-ე ქვეთავს. ელემენტის ქვემოთ დასაშვებია დამატებითი სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის.

